# დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო უწყებებში დასაქმებულთა ინფორმირებულობა და მათ პრაქტიკაში არსებული გამოცდილება

2023

# ტექნიკური ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **სამიზნე აუდიტორია** | საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები |
| **კვლევის არეალი** | საქართველო |
| **კვლევის მეთოდოლოგია** | რაოდენობრივი კვლევა (თვითშევსებადი კითხვარის ფორმატი, რომელიც გაზიარებული იყო Google Doc-ის პლატფორმაზე) |
| **ინტერვიუს ხანგრძლივობა** | 5 წუთი |
| **შერჩევის ზომა** | 1339 ინტერვიუ |
| **კვლევის ინსტრუმენტი** | რაოდენობრივი კითხვარი (შეიმუშავა მკვლევარმა UNDP-თან, ბიუროსთან და ადგილობრივ ექსპერტებთან შეთანხმებით) |
| **კვლევის შეზღუდვა** | რესპონდენტები თავად ავსებდნენ კითხვარს (ინტერვიუერის გარეშე), რის გამოც მათი მიკერძოებულობისა და სუბიექტურობის გაკონტროლება კიდევ უფრო რთული იყო. ეს გარემოება თვითშევსებადი კითხვარის ფორმატის თანმდევი შეზღუდვაა. |
| **შეწონვა** | მონაცემები შეწონილია სქესსა და ასაკზე, რომელიც კითხვარისა და სამიზნე სეგმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეწონვის ყველაზე ოპტიმალურ ვერსიას წარმოადგენს. |

# დემოგრაფია

## სქესი




## ასაკი




## რეგიონი




## დასაქმების ხანგრძლივობა




## სამუშაო ადგილი



# დეზინფორმაციის ფენომენის ცნობადობა საჯარო მოხელეებში

ჯამურად (n=1339)




სქესის მიხედვით




რეგიონის მიხედვით




ცენტრალური ხელისუფლება (n=615)




ადგილობრივი თვითმმართველობა (n=553)




ასაკის მიხედვით



# დეზინფორმაცია - ქვეყნის საფრთხე და გამოწვევა

ჯამურად (n=1339)




სქესის მიხედვით




რეგიონის მიხედვით




ცენტრალური
ხელისუფლება (n=615)




ადგილობრივი
თვითმმართველობა (n=553)




ასაკის მიხედვით



# დეზინფორმაციის თემაზე ინფორმაციის წყაროები



# დეზინფორმაციის თემაზე ინფორმაციის წყაროები



# დეზინფორმაციის თემაზე ინფორმაციის წყაროები



# რა არის დეზინფორმაცია?



# დეზინფორმაციის შესახებ ინფორმირებულობის წყაროები



# დეზინფორმაციის შესახებ ინფორმირებულობის წყაროები



# დეზინფორმაციის შესახებ ინფორმირებულობის წყაროები



# პროფესიული განვითარების პროგრამები დეზინფორმაციაზე



# პროგრამების/ტრენინგების შეფასება



# დეზინფორმაციის საკითხებზე ინფორმირებულობა (საკუთარი და სხვა უწყებების საქმიანობაზე)



# დეზინფორმაციის საკითხებზე ინფორმირებულობა (საკუთარი და სხვა უწყებების საქმიანობაზე)



# ინფორმაციის მიღების წყაროები



# ინფორმაციის მიღების წყაროები



# ინფორმაციის მიღების წყაროები



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - ჯამურად



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - ქალები



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - კაცები



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - თბილისი



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - აღმოსავლეთი



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - დასავლეთი



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - ცენტრალური ხელისუფლება



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - ადგილობრივი თვითმმართველობა



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - 18-34 ასაკობრივ სეგმენტში



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - **35-44** ასაკობრივ სეგმენტში



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - **45-54** ასაკობრივ სეგმენტში



# წყაროებთან მუშაობისა და დეზინფორმაციასთან გამკლავების პრაქტიკა - **55+** ასაკობრივ სეგმენტში



# როდესაც დეზინფორმაცია ჩემს სამსახურთან დაკავშირებით ვრცელდება...



# ცნობიერების ამაღლების სასურველი ფორმა - სქესის, რეგიონისა და სამუშაო ადგილის მიხედვით

| | ჯამური (n=1339) | სქესის მიხედვით | | რეგიონის მიხედვით | | | სამუშაო ადგილის მიხედვით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი (n=911) | კაცი (n=423) | თბილისი (n=560) | აღმოსავლეთი (n=381) | დასავლეთი (n=393) | ცენტრალური ხელისუფლება (n=615) | ადგილობრივი თვითმმართველობა (n=553) |
| ტრენინგების საშუალებით | 67% | 66% | 68% | 61% | 70% | 72% | 62% | 72% |
| პრაქტიკული ვორქშოპების საშუალებით | 51% | 53% | 48% | 59% | 45% | 46% | 56% | 45% |
| გაიდლაინების საშუალებით | 35% | 33% | 37% | 39% | 31% | 32% | 40% | 29% |

# ცნობიერების ამაღლების სასურველი ფორმა - ასაკის მიხედვით

| | ჯამური (n=1339) | ასაკობრივი სეგმენტის მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18-34 (n=420) | 35-44 (n=390) | 45-54 (n=334) | 55+ (n=190) |
| ტრენინგების საშუალებით | 67% | 71% | 66% | 64% | 65% |
| პრაქტიკული ვორქშოპების საშუალებით | 51% | 66% | 55% | 51% | 30% |
| გაიდლაინების საშუალებით | 35% | 38% | 33% | 33% | 36% |

# ძირითადი მიგნებები - დეზინფორმაციის საკითხზე ინფორმირებულობა

- როგორც კვლევამ აჩვენა, საჯარო მოხელეთა უმრავლესობამ იცის, ან სმენია დეზინფორმაციის შესახებ. მეორეს მხრივ, მცირეა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც დააფიქსირეს „არ მსმენია" ჩამოთვლილი პასუხებიდან (4% ჯამურად). აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონი (რეგიონულ ჭრილში) და 55+ ასაკის მქონე მოხელეები (ასაკობრივ ჭრილში), რადგან სწორედ ამ ჭრილებში 6%-მა და 7%-მა დააფიქსირა რომ დეზინფორმაციის შესახებ საერთოდ არაფერი სმენია, რაც ჯამური მონაცემისგან გადახრილია და ამ კონკრეტული ჭრილებისთვის სახასიათო გამოდის;

- რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დეზინფორმაცია ქვეყნისთვის გამოწვევა და დიდი საფრთხეა. განსხვავებული აზრი არ ფიქსირდება არც რეგიონის, არც ასაკობრივი და არც სამუშაო ადგილის ჭრილებში;

- იმ ინფორმაციას, რომ დეზინფორმაცია ქვეყნისთვის საფრთხე და გამოწვევაა ყველაზე მეტად ინტერნეტიდან, ტელევიზიიდან, პოლიტიკოსებისა და NGO-ებისგან იღებენ მოხელეები. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი მოხელეების სეგმენტში უფრო მეტად სახასიათოა ინფორმაციის მიღება პოლიტიკოსებისგან და სხვა სახელმწიფო უწყებებისგან, ჯამურ მონაცემთან შედარებით. სამუშაო ადგილის მიხედვით, ცენტრალური ხელისუფლების უწყებაში დასაქმებულ მოხელეებს, ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ მოხელეებთან შედარებით, NGO-დან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უფრო მეტად აქვთ დეზინფორმაციის საფრთხესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების გამოცდილება;

- რაც შეეხება რეგიონების მიხედვით გამოკვეთილ მახასიათებლებს, თბილისში საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და საკუთარი გამოცდილებიდან დეზინფორმაციის თემაზე ინფორმაციის მიღება, ჯამურ მონაცემთან შედარებით, უფრო სახასიათოა, ვიდრე ინფორმაციის სხვა წყაროებიდან. საინტერესოა ისიც, რომ ახალგაზრდა მოხელეებში (18-34 ასაკობრივი სეგმენტი) დეზინფორმაციის საფრთხესთან დაკავშირებით NGO-ების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა უწყებების გავლენა გამოკვეთილად სახასიათოა. ეს შესაძლოა იმ ფაქტორითაც იყოს განპირობებული, რომ ახალგაზრდებს, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, უფრო მეტად აქვთ საერთაშორისო აქტორებთან მუშაობის გამოცდილება, რადგან სწორედ ეს აქტორები ახორციელებენ აქტიურ კომუნიკაციასა და საინფორმაციო კამპანიას ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც დეზინფორმაცია და ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევებია;

- ყველა ჭრილში (სქესი, ასაკი, რეგიონი, სამუშაო ადგილი) საჯარო მოხელეების დაახლოებით 80% თვლის, რომ ესმის დეზინფორმაციის განმარტება. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი (უმეტეს შემთხვევაში 5%-ზე ნაკლები) ფიქრობს რომ ნაკლებად ესმით, ან არ ესმით თუ რა არის დეზინფორმაცია. ასეთი შედეგი შესაძლოა იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ კითხვარს მოხელეები დამოუკიდებლად ავსებდნენ, საკუთარ თავთან მიმართებაში სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე კი უფრო აღმატებული შეფასებები გააკეთეს, ვიდრე ამას სხვა გარემოებაში გააკეთებდნენ.

# ძირითადი მიგნებები - ინფორმირებულობის წყაროები

- საინტერესო სურათი იკვეთება დეზინფორმაციის შესახებ მოხელეთა ინფორმირებულობის განმაპირობებელი წყაროების ნაწილში. როგორც სქესის, ასაკის, ასევე რეგიონისა და სამუშაო ადგილის ჭრილებში იკვეთება, დეზინფორმაციის შესახებ ძირითადად საკუთარი ძალებით მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იციან, ან პირადი გამოცდილებითა და მეგობრების, ახლობლების მიერ გაზიარებული ცოდნის საფუძველზე. ჯამურად, მხოლოდ 15% ასახელებს ამ საკითხზე ინფორმაციის წყაროდ ტრენინგებს, ან პროგრამებს, ხოლო მხოლოდ 12% - სამსახურს. ასაკობრივ ჭრილში, 18-34 ასაკობრივ სეგმენტში ჯამური მონაცემისგან გამოკვეთილად, სახასიათოა ტრენინგები/პროფესიული პროგრამები, ან სამეგობრო და სანხლობლო როგორც ინფორმაციის წყარო, რაც კიდევ ერთხელ უკავშირდება წინა სლაიდზე განხილულ საკითხს, რომ ამ ასაკობრივ სეგმენტში NGO-ებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მიღება ჯამური მონაცემისგან უფრო მკვეთრად გამოხატულია. ეს ყოველივე ამყარებს იმ არგუმენტს, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტად აქვთ წვდომა საერთაშორისო და ლოკალურ დონეზე სხვა აქტორების მიერ გაზიარებულ ცოდნაზე, სხვადასხვა პროგრამებისა თუ სწავლებების ფარგლებში, ან უფრო მეტად ეცნობიან ამ აქტორების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას;

- მოხელეთა უდიდეს ნაწილს (80%-ს და მეტსაც), არ გაუვლია დეზინფორმაციის თემაზე არც ტრენინგი და არც პროგრამა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფორმაციის ყველაზე მეტად დასახელებული წყაროებიც პირადი გამოცდილება, მოხელის მიერ მოძიებული ინფორმაცია და სხვების მიერ გაზიარებული ცოდნაა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის მაღალი ინფორმირებულობა, რომელსაც თავად აფასებენ, საკუთარ სუბიექტურ წარმოდგენებზე არის დაყრდნობილი, რადგან იმის გადამოწმების მექანიზმის შესახებ, თუ რამდენად სწორად აფასებენ საკუთარ ინფორმირებულობას, ნაკლებად აქვთ ცოდნა და პრაქტიკა;

- როგორც მოსალოდნელი იყო, დეზინფორმაციის საკითხებზე, რომელიც საკუთარი უწყებების საქმიანობაზე ვრცელდება, უფრო მაღალია საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა, მათივე შეფასებით, ვიდრე სხვა უწყებების საქმიანობის შესახებ გავრცელებულ საკითხებზე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 20%-დან 30%-ის ფარგლებში მერყეობს ორივე შემთხვევაში იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ არ არიან ინფორმირებულნი არც ერთი მიმართულებით.

# ძირითადი მიგნებები - დეზინფორმაციის ამოცნობისა და რეაგირების პრაქტიკა

- ჯამურად, გამოკითხულ მოხელეთა მხოლოდ 38% ეთანხმება მოცემულობას, რომ თავისუფლად არჩევს ცრუ ინფორმაციას ნამდვილისგან. მეორეს მხრივ, როგორც ყველა რეგიონში, ასევე სქესსა და ასაკში რესპონდენტთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ აზრის ჩამოყალიბებამდე და ინფორმაციის გავრცელებამდე ყოველთვის ამოწმებს ინფორმაციის წყაროსა და შინაარსს სხვა წყაროსთან. საინტერესოა, რომ ანალიზის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჭრილში, რესპონდენტების ყველაზე მცირე რაოდენობა ეთანხმება იმ მოცემულობას, რომ დარწმუნებულია, რომ წყაროსა და ინფორმაციის გადამოწმების მისეული მეთოდი არის სანდო. როგორც კვლევამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმეტესობა ინფორმირებულადაც თვლის თავს დეზინფორმაციის თემაზე და ინფორმაციის გადამოწმების გარკვეული პრაქტიკაც აქვს (თუმცა როგორც კვლევამ აჩვენა, უფრო მეტად საკუთარი გამოცდილებისა და მეგობარი და კოლეგების მიერ გაზიარებულ პრაქტიკას ეყრდნობიან) ისინი მაინც ნაკლებად არიან იმაში დარწმუნებულნი, რომ მათ მიერ გამოყენებული მიდგომები და მექანიზმები სანდოა.

- სქესის მიხედვით ქალებს, რეგიონის მიხედვით თბილისს, დასაქმების მიხედვით ცენტრალურ ხელისუფლებასა და ასაკის მიხედვით 18-44 წლის ასაკის მოხელეებს გაუჭირდათ პასუხის გაცემა, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მაშინ, როდესაც დეზინფორმაცია უშუალოდ მათ სამსახურთან დაკავშირებით ვრცელდება. ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობაში დასაქმებულნი უფრო მეტად აფასებენ საკუთარ ცოდნას, გამოცდილებასა და პრაქტიკას, ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისში დასაქმებული მოხელეები.

- გამოკითხულ მოხელეებს დეზინფორმაციის ასამაღლებლად ყველაზე სასურველ და მისაღებ საშუალებად ტრენინგები და ვორქშოპები ესახებათ. თუმცა, ტრენინგების ფორმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და რეგიონებში უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისში. თბილისში ტრენინგებისა (61%) და ვორქშოპების ფორმით (59%) ცნობიერების ამაღლებას ერთმანეთთან მიახლოებული პროცენტული განაწილება აქვს, მაგრამ რეგიონში და თვითმმართველობაში დასაქმებულთათვის ტრენინგი უფრო მეტად სასურველი და ეფექტური გზაა.

- საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მოხელეების უმრავლესობას აქვს ინფორმაცია როგორც დეზინფორმაციაზე, ასევე იმაზე, რომ ეს უკანასკნელი დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მოხელეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ინფორმირებულად მიიჩნევს საკუთარ თავს დეზინფორმაციის პრობლემასთან დაკავშირებით, ისინი ასევე აფიქსირებენ, რომ მათ არ მიუღიათ პროფესიულ ტრენინგსა, თუ გადამზადების პროგრამაში მონაწილეობა (80%-ზე მეტი) და მათი ინფორმირებულობა ძირითადად გამოცდილებას, ან მათივე უნარებით მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ამასთანავე, გამოკითხული მოხელეების ნახევარზე ნაკლები ეთანხმება იმ დებულებას, რომ მის მიერ შემუშავებული და გამოყენებული წყაროსა და ინფორმაციის გადამოწმების გზები სანდოა. შესაბამისად, მოხელეები ინფორმირებულობის ამაღლებას მაინც საჭიროდ თვლიან და ამისთვის ყველაზე სასურველ და ეფექტურ მეთოდად ტრენინგებსა და ვორქშოპებს მოიაზრებენ.